სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/178

ქ. თბილისი

22 ივლისი 2019

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მათი ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2019 წლის 12 ივლისის საბჭოს სხდომის №7 ოქმის, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2019 წლის 3 ივნისის საბჭოს სხდომის №6 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №01-05-02/15 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მათი ხელმძღვანელები და პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა:
   - 1.1. „გრაფიკული დიზაინის შესრულება“, ხელმძღვანელი – პროფესორი თეა ბარამაშვილი, პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა – 30 ადგილი;
   - 1.2. „სარკინიგზო გადაზიდვები“, ხელმძღვანელი – პროფესორი პეტრე ქენქაძე, პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა – 30 ადგილი;
   - 1.3. „საბაჟო საქმე“, ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი ნინო თოფურია, პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა – 30 ადგილი;
   - 1.4. „ხის მხატვრული დამუშავება“, ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი რამაზი

ტყემალაძე, პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა – 30 ადგილი;

2. დამტკიცდეს პროფესიული მომზადების პროგრამა „ამფეთქებელი“, ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი აკაკი გოჩოლეიშვილი;
3. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

დადგენილებას თან ერთვის: სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის და სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტების საბჭოების სხდომის ოქმებიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**